საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 20 11/05/2020

დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა N48-ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 256 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზედ განთავსებული 150.50 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ 36.01.33.165) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61- მუხლის პირველი მე-3, მე-6 და მე-7 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.სსიპ საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 21 აპრილის N 5/ 22278 წერილის თანახმად, გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, დაბა ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩა N48-ში მდებარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 256 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ განთავსებული 150.50 კვ.მ შენობა-ნაგებობა. (ს/კ 36.01.33.165) , შემდგომში საქართველოს საპატრიარქოსათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფორმით უზრუნველყოს აღნიშნული ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 4 თებერვლის N 19 განკარგულება „დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქ#48–ში მდებარე ყოფილი სახანძრო–სამაშველო სამსახურის შენობის საქართველოს საპატრიარქოსათვის სარგებლობის უფლებით გადაცების შესახებ.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180 -ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში (მისამართი დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩა #48.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე